هدية
HADIYAH

ისლამის მოციქული მუჰამმადი ﷺ

رسول الإسلام محمد صلي الله عليه وسلم

ქართული

جورجي

სამეცნიერო კომიტეტი რელიგიური
საქმეთა ხელმძღვანელობით ალ-მასჯიდ
ალ-ჰარამში და ალ-მასჯიდ ან-ნაბავში

رَسُولُ الإِسْلَامِ مُحَمَّدٌ ﷺ

ისლამის მოციქული მუჰამმადი ﷺ

اللَّجْنَةُ العِلْمِيَّةُ بِرِئَاسَةِ الشُّؤُونِ الدِّينِيَّةِ بِالمَسْجِدِ الحَرَامِ وَالمَسْجِدِ النَّبَوِيِّ

სამეცნიერო კომიტეტი რელიგიური საქმეთა ხელმძღვანელობით ალ-მასჯიდ ალ-ჰარამში და ალ-მასჯიდ ან-ნაბავში

ისლამის მოციქული მუჰამმადი ﷺ

სახელითა ალლაჰისა მოწყალისა, შემწყალებლისა მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა ისლამის შუამავლის მუჰამმადისა (ალლაჰის ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), სადაც შევეცდები გიამბოთ მისი სახელის, წარმომავლობის, ქორწინების, შუამავლური მისიის შესახებ, რომელსაც ის ქადაგებდა, მისი შუამავლობის დამადასტურებელი ნიშნების, ზოგადად მისი შარიათისა და მისი ოპონენტების პოზიციის შესახებ.

1 - მისი სახელი, წარმომავლობა და სამშობლო, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა

ისლამის შუამავალი არის მუჰამმად იბნ აბდულლაჰ იბნ აბდულმუტტალიბ იბნ ჰააშიმ, იბრაჰიმის ვაჟის, ისმაილის შთამომავლობიდან - სალამი მათ.

თავის დროზე ალლაჰის შუამავალი იბრაჰიმი - სალამი მას - შამიდან მექქაში გადავიდა, რომელსაც თან ახლდა მის მეუღლე ჰააჯარი (აგარი) და ვაჟი ისმაილი. ისმაილი მაშინ ჩვილი

იყო. იბრაჰიმმა ისინი უზენაესი ალლაჰის ბრძანებით მექქაში დაასახლა და წავიდა. როდესაც ისმაილი წამოიზარდა, მოციქული იბრაჰიმი - სალამი მას - მექქაში დაბრუნდა. მან და მისმა ვაჟმა ისმაილმა მექქაში ქააბა ანუ აკრძალული სახლი ააგეს. თანდათან ქააბას ირგვლივ ხალხი დასახლდა და მომრავლდა. ამგვარად, მექქა გახდა საპილიგრიმო ადგილი, სადაც უამრავი ხალხი ჩადიოდა ჰაჯობისთვის. ხალხი საუკუნეების განმავლობაში ეთაყვანებოდა ალლაჰს და მიყვებოდა ერთღმერთიანობით იბრაჰიმის რელიგიას.

შემდეგ ხალხი გადავიდა სწორი გზიდან და არაბეთის ნახევარკუნძულზე მდგომარეობა ისეთივე გახდა, როგორც მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში, მასში წარმართობამ იჩინა თავი: კერპებზე თაყვანისცემა, ახალშობილი გოგონების ცოცხლად დამარხვა, ქალების შევიწროება, ცრუმოწმეობა, ღვინოს სვმა, ავზნეობა, ობლის ქონების მითვისება და მევახშეობა.

სწორედ ასეთ ადგილას და გარემოში 571 წელს დაიბადა ისლამის შუამავალი მუჰამმედი ﷺ ძე აბდულლაჰისა, რომელიც იყო იბრაჰიმის (აბრაამი) ვაჟის, ისმაილის შთამომავალი - სალამი მათ. მამამისი მის დაბადებამდე გარდაიცვალა, ხოლო დედამისი ექვსი წლის ასაკში. მასზე მზრუნველობა ბიძამ, აბუ ტალიბმა იკისრა. მან ცხოვრება ობლობასა და სიღარიბეში გაატარა, საჭმელსა და შემოსავალს თავისი ხელის ნაშრომით უზრუნველყოფდა.

2 - დალოცვილი ქორწინება დალოცვილ ქალბატონთან

25 წლის იყო როდესაც მექქას ქალბატონთაგან ერთ-ერთზე, ხადიჯა ხუვეილიდის ასულზე იქორწინა - ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი. შუამავალს მისგან ოთხი ქალიშვილი და ორი ვაჟი გაუჩნდა. ვაჟები მცირეწლოვნობისას გარდაიცვალნენ. ის ძალიან კეთილი და მოსიყვარულე იყო თავისი მეუღლისა და ოჯახის მიმართ. მისმა მეუღლემ ხადიჯამ ის დიდი სიყვარულით შეიყვარა და

მანაც იგივე დიდი სიყვარულით უპასუხა. მისი გარდაცვალების შემდეგ მრავალი წლების გასვლის მიუხედავად მაინც არ დავიწყებია იგი. მის მიმართ პატივისცემისა და მისი სიყვარულის უკვდავების ნიშნად ის კლავდა ცხვარს და ურიგებდა ხადიჯას მეგობარ ქალებს - კმაყოფილი იყოს ალლაჰი მისგან.

3 - გამოცხადების დასაწყისი

მუჰამმად შუამავალი ﷺ გაჩენის დღიდან დიდი მორალის მქონე ადამიანი იყო. ხალხი მას ას-საადიყ ალ-ამიინს-ს(პატიოსანი და სანდო) ეძახდა. ის მონაწილეობდა მათთან ერთად დიდ და ღირსეულ საქმეებში, და ამავდროულად სძულდა ყველაფერი წარმართული და თავს იკავებდა მასში მონაწილეობისგან.

როცა ის მექაში ცხოვრობდა და 40 წლის ასაკს მიაღწია, ალლაჰმა ის თავის მოციქულად აირჩია, და მასთან მოვიდა ანგელოზი ჯიბრილი (მშვიდობა მას), რათა გადაეცა პირველი აიათები ყურანიდან. ისინი იყო ყოვლისშემძლე ალლაჰის სიტყვები:

﴿اقْرَأْ بِاسْمِ رَبِّكَ الَّذِى خَلَقَ ۝١ خَلَقَ الْإِنسَانَ مِنْ عَلَقٍ ۝٢ اقْرَأْ وَرَبُّكَ الْأَكْرَمُ ۝٣ الَّذِى عَلَّمَ بِالْقَلَمِ ۝٤ عَلَّمَ الْإِنسَانَ مَا لَمْ يَعْلَمْ ۝٥﴾

"წაიკითხე შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა.

გააჩინა ადამიანი ლეკერტისაგან(შედედებული სისხლისგან)

წაიკითხე და შენი ღმერთი ყველაზე გულუხვია

რომელმაც ასწავლა კალმით (წერა),

ასწავლა ადამიანს ის, რაც არ იცოდა".

[სურა ალ-'ალაყ, 1-5]

ის მაშინვე თავის მეუღლესთან, ხადიჯასთან წავიდა - ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი - და მომხდარის შესახებ უამბო. ხადიჯამ ის დაამშვიდა და წაიყვანა თავის ბიძაშვილთან ვარაყა იბნ ნავფალთან, რომელიც იყო ქრისტიანი და თორა და სახარება წაკითხული ჰქონდა. ხადიჯამ უთხრა მას: ო, ჩემო ბიძაშვილო, აბა მოუსმინე შენს ძმის შვილს, რას ამბობს. ვარაყამ ჰკითხა მას: ო, ჩემო ძმის შვილო, რა ხილვები გაქვს? ალლაჰის შუამავალმა ﷺ

ყველაფერი მოუყვა, რაც დაინახა. ბოლოს ვარაყამ მას უთხრა:

ეს იგივე ანგელოზია, რომელსაც ალლაჰი მუსასთან (მოსე) გზავნიდა. ოჰ, ნეტავ მეც მივაღწიო იმ დროს, როდესაც შენივე ტომის ხალხი გაგაძევებს. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იკითხა: "ნუთუ ისინი მე გამაძევებენ?" მან უპასუხა: დიახ. არავინ მოსულა მსგავსი მოწოდებით, რითაც შენ მოხვედი, რომ მისთვის მტრობა არ გამოეცხადებინათ. და თუ მე მოვესწრები იმ დროს, აუცილებლად დაგეხმარები და ვიქნები შენი მხარდამჭერი.

ასე გრძელდებოდა მექქაში მასზე ყურანის ჩამოვლინება. ჯიბრილ ანგელოზს - მშვიდობა მას - ისევ და ისევ ჩამოდიოდა სამყაროთა ღმერთისგან, და მიჰქონდა მასთან შუამავლურ მოძღვრებასთან დაკავშირებული დეტალური განმარტებები.

ის თავის თანატომელებს მოუწოდებდა ისლამისკენ, თუმცა ხალხმა ის უარყო, მტრობა

გამოუცხადა და ქადაგების მიტოვების სანაცვლოდ ქონება და თანამდებობა შესთავაზა. მას იგივე უთხრეს, რაც მასზე ადრე წარმოგზავნილ შუამავლებს უთხრეს საზოგადოების დიდებულებმა: ჯადოქარო! მატყუარა! ალლაჰზე ცილისმწამებელო! და ა.შ. მას ავიწროებდნენ, თავს ესხმოდნენ, მისი ძვირფასი სხეულის მოსპობას ცდილობდნენ და დევნიდნენ მის მიმდევრებს.

შუამავალი ﷺ მექქაში მაინც აგრძელებდა ალლაჰისკენ მოწოდებას, განსაკუთრებით ჰაჯობის სეზონზე და არაბულ ტრადიციულ ბაზრობებზე, სადაც სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ხალხს ხვდებოდა და ისლამს უხსნიდა. მისი მიზანი არ იყო ამქვეყნიური კეთილდღეობა და არც მმართველობა. ის არც მახვილით აშინებდა ვინმეს, არც ძალაუფლებას ფლობდა და არც მეფე არ ყოფილა. მან დასაწყისშივე გამოიწვია თავისი ოპონენტები, რათა მოეტანათ იმის მსგავსი, რითაც თვითონ იყო მოსული ანუ დიადი ყურანის მსგავსი. ასეთ

ვითარებაში იყვნენ ისეთებიც, ვინც ირწმუნეს და გახდნენ მისი საჰაბები(მორწმუნე მეგობრები) - ალლაჰი იყოს ყველა მათგანით კმაყოფილი.

მექქაში ყოფნისას ალლაჰმა მას დიდი სასწაული უბოძა, რომელიც იყო ღამით მექქადან იერუსალიმში გამგზავრება და შემდეგ ზეცად ამაღლება. როგორც მუსლიმთა და ქრისტიანთა წყაროებშია მოხსენიებული, ალლაჰმა ასევე ზეცად აღამაღლა შუამავალი ილიასი და იესო მშვიდობა მათ.(შარიათული რედაქტორის შენიშვნა:არც წმინდა ყურანში და არც მუჰამმად მოციქულისგან- სალამი მას- არ არის ნახსენები რომ ილიას წინასწარმეტყველი- სალამი მას- ცაშია).

მოციქულმა ﷺ ზეცაში ყოფნისას ალლაჰისგან ლოცვის შესრულების ბრძანება მიიღო. ეს სწორედ ის ლოცვაა, რომელსაც მუსლიმები დღეში ხუთჯერ ასრულებენ. მექქაში კიდევ ერთი დიდი სასწაული მოხდა, ეს იყო მთვარის ორად გაყოფა, რომელიც წარმართებმაც

დაინახეს.

ყურეიშელმა ურწმუნოებმა ყველა ხერხს მიმართეს მისგან ხალხის ასარიდებლად; უფრო მეტი ბოროტების მიზნით და მისგან ზიზღის შესაქმნელად. ისინი ჯიუტად მოითხოვდნენ სასწაულებს და დახმარებისთვის იუდეველებს მიმართავდნენ, რათა მათთვის მიეწოდებინათ არგუმენტები, რომლებიც მათ დახმარებას გაუწევდა მასთან კამათში და ხალხის მისგან გადარწმუნებაში.

როდესაც ყურეიშელების მხრიდან მუსლიმთა დევნა მორწმუნეებისთვის გაუსაძლისი გახდა, მოციქულმა ﷺ მათ ეთიოპიაში გადასახლების ნება დართო. მოციქულმა ﷺ მათ უთხრა: "უეჭველად, იქ არის სამართლიანი მეფე, რომელიც არავის ექცევა უსამართლოდ". მეფე იყო ქრისტიანი. მორწმუნეთაგან ორი ჯგუფი ეთიოპიაში გაიხიზნა. როდესაც მუჰაჯირები (გახიზნულები) ეთიოპიაში ჩავიდნენ, მათ მეფე ნეჯაშის გააცნეს ის რელიგია, რომელიც

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ მოიტანა. მან ისლამი მიიღო და თქვა: "ალლაჰს ვფიცავარ, ეს იგივეა, რითაც მოვიდა მუსა (მოსე) - მშვიდობა მას - ორივე ერთი წყაროდანაა გამოსული". ამ დროს მექქაში შუმავლისა ﷺ და მისი საჰაბების შევიწროება გრძელდებოდა.

მათ შორის, ვინც ირწმუნეს ჰაჯობის სეზონის დროს იყვნენ მედინის მცხოვრებლები, რომელთაც ისლამის ერთგულების ფიცი დადეს და დაიფიცეს, რომ დაეხმარებოდნენ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) , როცა ის გადასახლდებოდა მედინაში, რომლსაც იმ დროს ერქვა იასრიბი; შუამავალმა ﷺ მედინაში გადასახლების ნება დართო იმ მორწმუნეებს, რომლებიც ჯერ კიდევ მექქაში იმყოფებოდნენ. მორწმუნეები გადასახლდნენ და მედინაში ისლამი გავრცელდა ისე, რომ ისლამის შეუსვლელი სახლი აღარ დარჩა.

შუამავალმა(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მექქაში ცამეტი წელი დაჰყო, სადაც მოუწოდებდა ხალხს ისლამისკენ. შემდეგ

ალლაჰმა ნება მისცა მას, რომ მედინაში გადასახლებულიყო და იქ გააგრძელა ქადაგება ალლაჰისკენ. ნელ-ნელა ცხადდებოდა ისლამის კანონები. შემდეგ შუამავალმა სხვადასხვა გვარების თავკაცებთან და მეფეებთან წარგზავნა ელჩები, რომლებსაც თან მიჰქონდათ წერილები და ისლამისკენ მოუწოდებდნენ მათ. მათ შორის იყვნენ: რომის იმპერატორი, სპარსეთის მეფე და ეგვიპტის მეფე.

შუამავლის მედინაში ყოფნისას მზის დაბნელება მოხდა, რის გამოც ხალხი ძალიან შეშინდა. ის დღე მოციქული ﷺ ვაჟის იბრაჰიმის გარდაცვალების დღეს დაემთხვა და ხალხმა თქვეს: "იბრაჰიმის გარდაცვალების გამო მზე დაბნელდა". ამაზე მოციქულმა ﷺ თქვა:

(إِنَّ الشَّمْسَ وَالْقَمَرَ لَا يَكْسِفَانِ لِمَوْتِ أَحَدٍ، وَلَا لِحَيَاتِهِ، وَلَكِنَّهُمَا مِنْ آيَاتِ اللهِ يُخَوِّفُ اللهُ بِهِمَا عِبَادَهُ).

„ჭეშმარიტად, არც მზე და არც მთვარე ვინმეს სიკვდილის ან სიცოცხლის გამო არ დაბნელდება. არამედ, ორივე ალლაჰის სასწაულთაგანია, რომლითაც ალლაჰი თავის

მსახურებს აშინებს.“[1]

მოციქული ﷺ მატყუარა და თვითმარქვია რომ ყოფილიყო, ის აუცილებლად შეეცდებოდა ხალხის დაშინებას მისი ცრუდ მიჩნევის გამო და იტყოდა: "უეჭველად, მზე ჩემი ვაჟის გარდაცვალების გამო დაბნელდა და რა დაემართებათ იმათ, ვინც მე ცრუდ მიმიჩნევს?"

უზენაესმა ალლაჰმა შუამავალი ﷺ უნაკლო ზნეობით შეამკო და შემდეგნაირად დაახასიათა:

﴿وَإِنَّكَ لَعَلَىٰ خُلُقٍ عَظِيمٍ ۝٤﴾

"და ჭეშმარიტად, შენ ადგახარ უმაღლეს ზნეობას".

[სურა ალ-ყალამ, 4]

ის ყველა სახის დადებითი ზნეობით გამოირჩეოდა, როგორიცაა: ერთგულება, გულწრფელობა, სიმამაცე. სამართლიანი იყო მტრების მიმართაც კი. ის იყო ხელგაშლილი და უყვარდა მოწყალების გაცემა ღარიბების, უპოვარების, ქვრივ-ობლებისა და

---

[1] მუსლიმის საჰიჰ ჰადისთა კრებული, (901)

გაჭირვებულთათვის. გულმოდგინებას არ იშურებდა მათ სწორ გზაზე დასაკვალიანებლად, ებრალებოდა ისინი და თავმდაბალი იყო მათ მიმართ. ერთხელ საჰაბებთან - ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი - მივიდა ერთი უცხო კაცი, რომლესაც შუამავლის ﷺ ნახვა უნდოდა და კითხულობდა: "რომელი თქვენგანია მუჰამმედი?" შუამავალი ﷺ ამ დროს მათ შორის იმყოფებოდა, თუმცა ის არ გამოირჩეოდა მათგან.

მისი ცხოვრება სრულყოფილების და კეთილშობილების ნიმუშს წარმოადგენდა ყველასთან ურთიერთობაში: მტერთან თუ მოყვარესთან, ახლობელთან თუ უცხოსთან, დიდთან თუ პატარასთან, კაცთან თუ ქალთან, ცხოველთან თუ ფრინველთან.

მას შემდეგ რაც ალლაჰმა სრულქმნა თავისი რელიგია და შუამავალმა ﷺ პირნათლად შეასრულა თავისი მქადაგებლური მისია, იგი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან შუამავლობამდე 40 წელი და შუამავლობის მისიიდან 23 წელი

იცხოვრა.

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაიკრძალა მედინაში. მას არც ქონება და არც მემკვიდრეობა არ დაუტოვებია; გარდა თეთრი ჯორისა, რომლითაც გადაადგილდებოდა და პატარა მიწის ნაკვეთისა, რომელიც მგზავრთათვის საქველმოქმედოდ გაიღო.[1]

საკმაოდ დიდი იყო მათი რიცხვი ვინც ისლამი მიიღო, დაამოწმა მისი შუამავლობა და მიჰყვა მას; მასთან ერთად ასი ათასზე მეტმა საჰაბამ შეასრულა გამოსამშვიდობებელი ჰაჯობა, რომელიც მის გარდაცვალებამდე დაახლოებით სამი თვით ადრე მოხდა. შესაძლოა მისი სარწმუნოების დაცვისა და გავრცელების საიდუმლო ის იყოს, რომ მის მიერ აღზრდილი მორწმუნეები, ყოველთვის იდგნენ ისლამის ღირებულებებზე და იყვნენ სანიმუშოები სამართალში, ასკეტურობაში, ღვთისმოსაობაში, ერთგულებასა და ამ დიადი

---

[1] ბუხარის საჰიჰ ჰადისთა კრებული, (4461) 6/15.

სარწმუნოებისთვის თავგანწირვაში, რომლისაც მათ სწამდათ.

საჰაბებს შორის რწმენით, ცოდნით, საქმით, გულწრფელობით, ერთგულებით, დამოწმებით, თავდადებით, სიმამაცითა და გულუხვობით ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ: აბუ ბაქრ ას-სიდდიყ, 'უმარ იბნ ალ-ხატტაბ, ოსმან იბნ 'აფფან და ალი იბნ აბუ ტალიბი - ალლაჰი იყოს კმაყოფილი ყველა მათგანით. ისინი პირველები იყვნენ, ვინც მისი ირწმუნეს და დაიჯერეს. შუამავლის გარდაცვალების შემდეგ მათ ხალიფობა დაეკისრათ და ამ სარწმუნოების დროშა ატარეს. ისინი ჩვეულებრივი მორწმუნეები იყვნენ, მათ შუამავლური მახასიათებლები არ გააჩნდათ; არც მათ და არც დანარჩენ საჰაბებს - ალლაჰი იყოს კმაყოფილი ყველა მათგანით.

ალლაჰმა დაიცვა თავისი წიგნი, რომელიც გარმოავლინა შუამავალზე ﷺ. ასევე დაიცვა მისი სუნნეთი, მისი ბიოგრაფია, მისი სიტყვები და მისი საქმეები - იმავე ენაზე, რომელზედაც ის

ლაპარაკობდა. ისტორიის მანძილზე არავისი ბიოგრაფია არ არის ისე ზუსტად დაცული, როგორც მისი ბიოგრაფია. მისი ცხოვრების თითქმის ყველა დეტალია შემონახული: როგორ იძინებდა, როგორ მიირთმევდა, როგორ იღიმოდა და ა.შ.

როგორ ექცეოდა ის ოჯახის წევრებს?

მისი მთელი ცხოვრება შემონახული და ჩაწერილია ბიოგრაფიულ წიგნებში. ის იყო ადამიანი და შუამავალი, რომელსაც ღვთაებრიობის არც ერთი თვისება არ გააჩნდა. მას არც სარგებელი და არც ზიანი არ გააჩნდა საკუთარი თავისთვის.

4 - მისი შუამავლობა(მისია)

ალლაჰმა მუჰამმედი ﷺ შუამავლად მას შემდეგ წარმოგზავნა, როცა მთელ დედამიწაზე გავრცელდა წარმართობა, ურწმუნოება, უმეცრება და დედამიწის ზურგზე აღარავინ იყო, ვინც ყოველგვარი თანაზიარის გარეშე ეთაყვანებოდა ალლაჰს - გარდა რამდენიმე წიგნბოძებულისა. ასეთ დროს ალლაჰმა

შუამავალი მუჰამმედი ﷺ მოციქულთა და შუამავალთა ბეჭედად წარმოგზავნა. ალლაჰმა ის მთელ სამყაროს წარმოუგზავნა სწორი გზითა და ჭეშმარიტებით, რათა უპირატესობა მოეპოვებინა ყველა სარწმუნოებასთან, ხალხი ეხსნა სიბნელისგან, წარმართობისგან, ურწმუნოებისგან, უმეცრებისგან და შეეყვანა რწმენისა და ერთღმერთიანობის ნათელში. მისი მოძღვრება სრულყოფს წინა შუამავალთა და მოციქულთა მოძღვრებებს - სალამი მათ.

ის ქადაგებდა იმას, რასაც ქადაგებდნენ სხვა შუამავლები და წინასწარმეტყველები: ნუჰი (ნოე), იბრაჰიმი (აბრაამი), მუსა (მოსე), ისა (იესო) - მშვიდობა მათ - რწმენა იმისა, რომ ღმერთი არის ალლაჰი, გამჩენი, სარჩოს მბოძები, ვინც სიცოცხლეს აძლევს და ართმევს, სამეფოთა მფლობელი, შემბრალებელი, მწყალობელი. ალლაჰი ისაა, ვინც შექმნა ყოველივე, რასაც ვხედავთ და ვერ ვხედავთ. ალლაჰი არის ყოველივეს შემქმნელი, გარდა მისა.

ის მოუწოდებდა ერთადერთი ალლაჰის

თაყვანისცემისკენ და კერპთა მიმართ თაყვანისცემის მიტოვებისკენ. მთელი სიცხადით განმარტა, რომ ალლაჰი ერთია და მას არ გააჩნია თანამოზიარე არც თაყვანისცემაში, არც მფლობელობაში და არც საქმეთა მართვაში. მან ასევე განმარტა, რომ ალლაჰი არც მშობელია, არც შობილა, არც ვინმეა მისი ბადალი და მსგავსი; ის არც რომელიმე ქმნილებაში გარდასახულა და არც ხორცი შეუსხამს.

ის მოუწოდებდა ღვთიურ წერილთა რწმენისკენ, როგორებიც იყო იბრაჰიმისა (აბრაამი) და მუსას (მოსეს) წერილები - სალამი მათ - თავრათის (თორა), ზაბურის (ფსალმუნები) და ინჯილის (სახარება), ასევე მოუწოდებდა ყველა შუამავლის რწმენისკენ და განმარტა რომ ის, ვინც ურწმუნოებას გამოიჩენდა რომელიმე ერთი შუამავლის მიმართ, ის ყველა შუამავლის მიმართ ურწმუნოდ ჩაითვლებოდა.

მან მთელ კაცობრიობას ალლაჰის მოწყალება ახარა და ამცნო, რომ ალლაჰია ის, ვინც ყველა

მათგანზე ზრუნავს ამქვეყნად და რომ ალლაჰი არის მოწყალე ღმერთი. ის ერთადერთია, ვინც განკითხვის დღეს ყველა ქმნილებას განიკითხავს, როდესაც საფლავიდან აღადგენს ყველა მათგანს. ის არის ის, ვინც მორწმუნეებს თავიანთი ნამოქმედარი სიკეთეების გამო ათმაგი საზღაურით აჯილდოებს, ხოლო ცუდი საქმეებისთვის - ერთი საზღაურით და მათთვისაა იმქვეყნად უსასრულო ნეტარება; ხოლო ვინც არ ირწმუნა და უკეთურების მქმნელი იყო, ისინი სასჯელს მიიღებენ, როგორც ამქვეყნად ისე იმქვეყნადაც.

შუამავალი მუჰამმედი ﷺ თავის მოძღვრებაში არ განადიდებდა თავის ერს, სამშობლოს და არც საკუთარ თავს; პირიქით, წმინდა ყურანში მის სახელზე უფრო მეტჯერ შუამავლების ნუჰის (ნოე), იბრაჰიმის (აბრაამი), მუსას (მოსე), ისას (იესო) სახელებია მოხსენიებული - ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი. წმინდა ყურანში არც მისი დედის და არც მისი მეუღლეების სახელებია მოხსენიებული; თუმცა ყურანში

ერთზე მეტჯერ არის ნახსენები მუსას (მოსეს) დედის სახელი, ხოლო მარიამი(მშვიდობა მას) - 35 - ჯერ.

შუამავალი მუჰამმედი ﷺ უცდომელი იყო ყველა იმ საკითხისგან, რაც შეუთავსებელია შარიათთან, ჯანსაღ გონებასთან, ადამიანურ ბუნებასთან და მიუღებელია მორალურად, რადგანაც მოციქულები უცდომელნი არიან მსგავსი საკითხებისგან, რასაც გადმოსცემდნენ ალლაჰისგან. ისინი ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორიც ყველა დანარჩენი და მათ მხოლოდ ალლაჰის ბრძანებების ხალხთან მიტანა ჰქონდათ დავალებული.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტკიცებულება იმისა, რომ შუამავალი მუჰამედის ﷺ მოძღვრება ღვთიური გამოცხადებაა, არის ის, რომ ის დღემდე უცვლელად არის დაცული, როგორც ეს იყო მის სიცოცხლეში. მის მოძღვრებას დღეს მილიარდზე მეტი მუსლიმი მიჰყვება, რომლებიც ყოველგვარი სახეცვლილებისა და დამახინჯების გარეშე პრაქტიკულად

ასრულებენ მის დოგმებს და იცავენ წესებს, როგორიცაა ლოცვა, ზაქათი, მარხვა, ჰაჯობა და სხვა.

5 - მისი შუამავლობის დამადასტურებელი ნიშნები და მტკიცებულებები

ალლაჰი მხარს უჭერს მოციქულებს ნიშნებით, რომლებიც ადასტურებენ მათი წინასწარმეტყველური მისიების ჭეშმარიტებას, და აძლევს მათ მტკიცებულებებს შუამავლობის ჭეშმარიტების შესახებ. ალლაჰმა ყველა შუამავალს მისცა სასწაულები, რაც საკმარისი იყო ადამიანებისთვის, რომ ერწმუნათ. ყველაზე დიდი სასწაული, რაც კი მოციქულებს ებოძათ არის, ჩვენი შუამავლის მუჰამმედის ﷺ სასწაულები. ალლაჰმა მას წინასწარმეტყველური სასწაული - წმინდა ყურანი უბოძა, რომელიც იარსებებს განკითხვის დღემდე. მუჰამმედ შუამავალს ﷺ სხვა მრავალი სასწაული ებოძა, მათგან ზოგიერთებია:

ისრა და მი'რაჯი (ღამით მექქადან

იერუსალიმში მოგზაურობა და შემდეგ იქიდან ზეცად ამაღლება), მთვარის ორად გაყოფა, რამდენჯერმე ჩამოვლენილი წვიმა მისი ვედრების შემდეგ, როდესაც ღმერთს შეევედრა ხალხისთვის წვიმა ეწყალობებინა, ვინაიდან ისინი უწყლობას განიცდიდნენ.

მისი ლოცვით გამრავლებული ცოტაოდენი საჭმელი - სასმელი, რომელიც შემდეგ ბევრმა ხალხმა ჭამა და სვა.

ალლაჰის შეტყობინებით, წარსულში მომხდარი, მისთვის უხილავი ამბების გადმოცემა, რომელთა შესახებაც დეტალურ ცნობებს უკვე აღარავინ ფლობდა. როგორებიცაა: შუამავალთა(მშვიდობა მათ) და მათი ხალხის ამბები, ასევე ისტორია ახალგაზრდების, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში გამოქვაბულში ეძინათ.

ცნობები მომავალი მოვლენების შესახებ, რომლებიც ალლაჰმა აცნობა მას და შემდეგ მოხდა, რაც ალლაჰმა შეატყობინა მას. როგორიც არის ცეცხლი, რომელიც გამოვა ჰიჯაზის

მიწიდან და მას დაინახავენ შამში მყოფნი, ასევე ადამიანების გატაცება მაღალი შენობების აშენებით.

ამ ნიშნებს მიეკუთვნება ასევე ის, რომ ალლაჰი ზრუნავდა მასზე და იცავდა მას ხალხის ზიანისგან.

ასევე ის, რომ მისი საჰაბების მიმართ დადებული აღთქმები ცხადდებოდა, როგორიცაა შემდეგი სიტყვები:

(لَتُفْتَحَنَّ عَلَيْكُمْ فَارِسُ وَالرُّومُ، وَلَتُنْفَقَنَّ كُنُوزَهُمَا فِي سَبِيلِ اللهِ).

„თქვენ აუცილებლად აიღებთ სპარსეთსა და ბიზანტიას. უთუოდ, მათ საგანძურებს ალლაჰის გზაზე დახარჯავთ.“

ალლაჰის დახმარება მისთვის ანგელოზების საშუალებით.

წინათ მყოფი შუამავლები ახარებდნენ თავიანთ ხალხს მუჰამმედ შუამავლის ﷺ მოსვლის შესახებ. ვინც მისი შუამავლობა იმახარობლა იყვნენ: მუსა (მოსე), დავუდი (დავითი), სულეიმანი (სოლომონი), ისა (იესო) და კიდევ სხვა მოციქულები ისრაელის

მოდგმიდან.

ლოგიკური მტკიცებულებები და იგავები,[1] რომლებსაც ეთანხმება საღი გონება.

ეს სასწაულები, არგუმენტები და რაციონალური მაგალითები განვრცობილია წმინდა ყურანსა და შუამავლის სუნნეთში. შუამავალი მუჰამმედის სასწაულები გაცილებით ბევრია, ვიდრე ჩვენ შევძლებთ აქ ჩამოთვლას. ვისაც მათი შესწავლა უნდა, მან უნდა მიმართოს წმინდა ყურანს, სუნნეთის წიგნებს და შუამავლის ბიოგრაფიას, სადაც არის უტყუარი ცნობები აღნიშნული სასწაულების შესახებ.

ეს სასწაულები რომ არ მომხდარიყო ურწმუნო ყურეიშელი, იუდეველი და

---

1 უზენაესი ალლაჰის შემდეგი სიტყვების მსგავსად:

﴿يَـٰٓأَيُّهَا ٱلنَّاسُ ضُرِبَ مَثَلٌ فَٱسْتَمِعُوا۟ لَهُۥٓ ۚ إِنَّ ٱلَّذِينَ تَدْعُونَ مِن دُونِ ٱللَّهِ لَن يَخْلُقُوا۟ ذُبَابًا وَلَوِ ٱجْتَمَعُوا۟ لَهُۥ ۖ وَإِن يَسْلُبْهُمُ ٱلذُّبَابُ شَيْـًٔا لَّا يَسْتَنقِذُوهُ مِنْهُ ۚ ضَعُفَ ٱلطَّالِبُ وَٱلْمَطْلُوبُ﴾ [سورة الحج: ٧٣].

„ჰეი, ხალხო! მაგალითისთვისაა იგავი, მაშ მოუსმინეთ. უეჭველად, რომელთაც თქვენ ეთაყვანებით, გარდა ალლაჰისა, ვერ შექმნიან ბუზსაც კი, რომც გაერთიანდნენ ამისთვის. თუ ბუზი რამეს წაართმევს მათ, ისინი ვერ შეძლებენ მის უკან დაბრუნებას. სუსტია ის, ვინც თხოულობს და ისიც, ვისაც სთხოვენ!“

ქრისტიანი ოპონენტებისთვის, რომლებიც იმ დროს არაბეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ, ხელსაყრელი მომენტი იქნებოდა მისი ცრუდ გამოსაცხადებლად და მისგან ხალხის მოსარიდებლად.

წმინდა ყურანი არის წიგნი, რომელიც უზენაესმა ალლაჰმა ზეშთააგონა შუამავალ მუჰამმედს ﷺ, ის არის სამყაროთა ღმერთის სიტყვა. ალლაჰმა გამოიწვია ადამიანები და ჯინები, რომ მათ მოეყვანათ მისი მსგავსი, ან მინიმუმ ერთი სურა მაინც. ეს გამოწვევა დღემდე გრძელდება, თუმცა ურწმუნოები კვლავ დუმან. წმინდა ყურანი პასუხობს ძალიან ბევრ ისეთ კითხვას, რაშიც მილიონობით ადამიანი გაურკვევლობაში იმყოფება. წმინდა ყურანი დღემდე ორიგინალი სახითაა დაცული არაბულ ენაზე, რომელზედაც ჩამოევლინა. მას დღემდე ერთი ასოც კი არ მოკლებია. ის იბეჭდება და ვრცელდება, ის არის დიადი და სასწაულებრივი წიგნი. ის არის ყველაზე დიდი წიგნი, რაც ადამიანებზე ჩამოევლინა.

ნამდვილად ღირს მისი წაკითხვა ან მისი თარგმანის წაკითხვა. ვინც ხელიდან გაუშვა მისი წაკითხვის ან მისი რწმენის შანსი, მან მართლაც ბევრი დაკარგა.

ასევე დაცული და შემონახულია შუამავალი მუჰამმედის ﷺ სუნნეთი, მისი გზა და ბიოგრაფია ისე, თითქოს ის ჩვენს შორის ცხოვრობდა, გადმოცემულია სანდო გადმომცემთა ჯაჭვით და დაბეჭდილია არაბულ ენაზე, რომელზედაც შუამავალი მუჰამმედი ﷺ საუბრობდა. მისი სუნნეთი თარგმნილია მსოფლიოს ბევრ ენაზე. წმინდა ყურანი და შუამავლის სუნნეთი ისლამისა და მისი კანონების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

6 - კანონი, რომელიც შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ მოიტანა

კანონი, რომლითაც შუამავალი მუჰამმედი ﷺ მოვიდა - არის ისლამის შარიათი. ის არის ბოლო საღვთო კანონი და ბოლო ღვთიური გზავნილი. მისი საფუძვლები მსგავსია წინა შუამავალთა კანონებისა, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის

არის ფორმალური განსხვავებები.

ეს არის სრულყოფილი შარიათი, რომელიც ძალაშია ყველა დროსა და ადგილას. მასში არის ხალხის ამქვეყნიური და რელიგიური კეთილდღეობისთვის ზრუნვა. იგი მოიცავს ყველანაირ ღვთისმსახურებას, რაც ევალება სამყაროთა ღმერთის მსახურებს, როგორიცაა: ლოცვა, ზაქათი და ა.შ. მასში მსახურთათვის განმარტებულია მატერიალური, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, საომარი და გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული ნებართვები ან აკრძალვები და სხვა მრავალი საკითხი, რაც სჭირდება ადამიანებს ამქვეყნად და საიქიო ცხოვრებაში.

ეს შარიათი იცავს ხალხის რწმენას, მათ სისხლს, ნამუსს, ქონებას, საღ გონებასა და შთამომავლობას. ის მოიცავს ყოველგვარ სიკეთეს თუ სათნოებას და განარიდებს ყოველგვარ უკეთურებას თუ მანკიერებას; ის აქებს ადამიანის ღირსებას, ზომიერებას, სამართლიანობას, გულწრფელობას,

სისუფთავეს, შრომის მოყვარეობას და სიყვარულს, ხალხისთვის სიკეთის სურვილს, ასევე მოუწოდებს სისხლისღვრისგან თავის შეკავებასა და სამშობლოს უსაფრთხოებისკენ; კრძალავს ხალხის უსამართლოდ დაშინებას. შუამავალი მუჰამმედი ﷺ ებრძოდა ამბოხებისა და უკეთურების ყოველგვარ ფორმასა და გამოვლინებას. წინააღმდეგი იყო ცრუ რწმენების, განდეგილობისა და მონასტრული ცხოვრების.

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ განმარტა, რომ ალლაჰმა პატივი დასდო ადამიანს, კაცსაც და ქალსაც. მიანიჭა მათ სრული უფლებები და პასუხისმგებლობა დააკისრა თავიანთ არჩევანზე და ნამოქმედარზე. ადამიანი პასუხისმგებელია თავის ნამოქმედარზე, რომლითაც ავნო საკუთარ თავს ან სხვას. მან ქალი და კაცი თანაბრად დაადგინა რწმენაში, პასუხისმგებლობაში, სასჯელსა თუ ჯილდოში. ეს შარიათი განსაკუთრებულად ზრუნავს ქალებზე, როგორც დედაზე, მეუღლეზე,

ქალიშვილზე და დაზე.

შარიათი, რომლითაც მოვიდა შუამავალი მუჰამმედი ﷺ იცავს საღ გონებას და კრძალავს ყველაფერს, რაც უარყოფითად მოქმედებს მასზე, როგორიცაა ალკოჰოლის მოხმარება და სხვა. ისლამი რელიგიას მიიჩნევს სინათლედ, რომელიც ანათებს გონების გზას; რათა ადამიანმა ცოდნითა და სწორი ხედვით ეთაყვანოს თავის ღმერთს. ისლამის შარიათმა საღი გონების ყადრი აამაღლა, პასუხისმგებლობის განმსაზღვრელად დაადგინა და გაათავისუფლა ცრუ რწმენებისა და კერპთაყვანისმცემლობის ბორკილებისგან.

ისლამის შარიათი ძლიერ აფასებს სწორ და მართალ ცოდნას, ის დადებითად აფასებს ცოდნის ძიებას ხელს უწყობს მეცნიერულ კვლევას, რომელიც შორსაა პირადი ვნებებისა და გაუკუღმართებული ახირებებისგან. ის მოუწოდებს სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობისა და განჭვრეტისაკენ. სწორი და ზუსტი მეცნიერული კვლევები არასოდეს

ეწინააღმდეგება იმ ჭეშმარიტებას, რითაც მოვიდა შუამავალი მუჰამმედი ﷺ.

შარიათი არ გამოარჩევს რომელიმე კონკრეტული ერის ხალხს სხვა ერებისგან, მასში არა რის კონკრეტულ ხალხზე განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება დანარჩენებისგან განსხვავებით, პირიქით მისი კანონების წინაშე ყველა თანაბარია: რადგან ყველა ადამიანი არსებითად თანასწორია და ერთი რომელიმე ერი მეორესთან მიმართებაში უპირატესობას არ ფლობს, ხალხის ერთი ჯგუფი ვერაფრით სჯობია სხვებს გარდა ღვთისმოსაობისა. ალლაჰის შუამავალმა გვამცნო, რომ ყოველი ახალშობილი სპეტაკი ბუნებით იბადება. არცერთი ადამიანი არ იბადება ცოდვილი ან სხვისი ცოდვების მემკვიდრედ.

ალლაჰმა ისლამის შარიათში დააწესა მონანიება. მონანიება არის როდესაც ადამიანი მიილტვის თავისი ღმერთისკენ და ცოდვებს თავს ანებებს. ისლამი შლის ყველა ცოდვას, რაც მის მიღებამდე ჩაიდინა ადამიანმა, ხოლო

მონანიება შლის მანამდე ჩადენილ ყველა ცოდვებს, ამიტომაც ადამიანს არაფერში სჭირდება ადამიანის წინაშე ჩადენილი ცოდვების აღიარება. ისლამის მიხედვით პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა იყოს ადამიანსა და ღმერთს შორის, ამიტომაც შენ არავინ არ გჭირდება შენსა და ღმერთს შორის დამაახლოებელ საშუალებად. ისლამი კრძალავს ადამიანის გაღმერთებას ან მის ღმერთთან გათანაბრებას ღვთაებრიობის ან თაყვანისცემის საკითხებში.

შარიათი, რომლითაც მოვიდა შუამავალი მუჰამმედი ﷺ აუქმებს წინათ არსებულ ყველა შარიათს. რადგანაც ისლამის შარიათი, რითაც მოვიდა შუამავალი მუჰამმედი ﷺ ღვთისგან არის მოვლენილი, ის არის ბოლო და ქვეყნიერების აღსასრულამდე ძალაში მყოფი შარიათი. ის სამყაროთათვის საკმარისია. ამიტომაც გაუქმდა სხვა ყველა შარიათი რაც მასზე ადრე იყო, როგორც სხვა შარიათები უქმდებოდა ყოველი ახალი შარიათის

გარდმოვლენით. ისლამის მოსვლის შემდეგ ალლაჰი ისლამური შარიათის გარდა სხვა კანონს არ ღებულობს, არც სხვა რომელიმე რელიგიას ღებულობს, გარდა ისლამისა, რითაც მოვიდა შუამავალი მუჰამმედი ﷺ. ვინც ისლამის გარდა სხვა რჯული ირწმუნოს, ის არ მიიღება მისგან. ვისაც ამ შარიათის დეტალური გაცნობა უნდა, მან უნდა მიმართოს სანდო წიგნებს, რომლებიც ცნობილი და აღიარებულია ისლამში.

უეჭველად, ისლამის შარიათი მიზნად ისახავს იმას, რასაც მიზნად ისახავდა ყველა ღვთიური გზავნილი: ჭეშმარიტი სარწმუნოების ამაღლება ადამიანში, რომ ის იყოს მხოლოდ სამყაროთა ღმერთის ერთგული მსახური, და ათავისუფლებს მას ადამიანის, მატერიისა და ცრურწმენების მონობისგან.

ისლამის შარიათი მოქმედია ყველა დროსა და ადგილას და არ შეიცავს არაფერს, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის ჭეშმარიტ ინტერესებს, რადგან ის ალლაჰისგან არის

გამოვლინებული, რომელმაც იცის, რა სჭირდება ადამიანებს. ხალხს კი ესაჭიროება შარიათი, რომელიც თავსითავად სწორია და არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ საკითხებს, რომელიც სასარგებლოა ადამიანებისთვის და არ არის ადამიანის მიერ შედგენილი, არამედ ალლაჰისგანაა მიღებული და ადამიანებს სიკეთისა და სრულყოფილებისაკენ წარმართავს. თუკი ადამიანები იცხოვრებენ მისით მათი საქმეები გამოსწორდება და ისინი დაიცავენ თავს ერთმანეთის ჩაგვრისგან.

7 - მისი ოპონენტების დამოკიდებულება და მათი დამოწმება მის სასარგებლოდ

ეჭვგარეშეა, რომ ყველა მოციქულს ჰყავდა მოწინააღმდეგეები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მას, წინ ეღობებოდნენ მის ქადაგებას და ხალხის დაბრკოლებას ცდილობდნენ, რათა არ ერწმუნათ მისი. ასევე შუამავალ მუჰამმედსაც ﷺ ჰყავდა ბევრი მოწინააღმდეგე, როგორც მის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგაც. უეჭველად,

ალლაჰი დაეხმარა მას ყველა მათგანის წინააღმდეგ, ბევრი მათგანი ძველიც და ახალიც ამოწმებს, რომ ის იყო ღვთის რჩეული მოციქული და რომ ის მოვიდა მსგავსი გზავნილით, რითაც მოვიდნენ წინანდელი მოციქულები - მშვიდობა მათ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ის ჭეშმარიტ გზაზე იდგა, მაგრამ ბევრ მათგანს მის რწმენაში მრავალმა მიზეზმა ხელი შეუშალა, როგორიც იყო თანამდებობისა და თავკაცობის სიყვარული, საზოგადოების შიში, ქონების დაკარგვის შიში, რომელსაც დაკავებული თანამდებობიდან ღებულობდა ად ა.შ.

ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროების ღმერთს.

❋❋❋

Index

ისლამის მოციქული მუჰამმადი ﷺ.....2

სამეცნიერო კომიტეტი რელიგიური საქმეთა ხელმძღვანელობით ალ-მასჯიდ ალ-ჰარამში და ალ-მასჯიდ ან-ნაბავში.....**خطأ! الإشارة المرجعية غير معرّفة.**

1 - მისი სახელი, წარმომავლობა და სამშობლო, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა.....2

2 - დალოცვილი ქორწინება დალოცვილ ქალბატონთან 4

3 - გამოცხადების დასაწყისი.....5

4 - მისი შუამავლობა(მისია) 17

5 - მისი შუამავლობის დამადასტურებელი ნიშნები და მტკიცებულებები.....22

6 - კანონი, რომელიც შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ მოიტანა 27

7 - მისი ოპონენტების დამოკიდებულება და მათი დამოწმება მის სასარგებლოდ 34

❋❋❋

هدية
HADIYAH

The Encyclopedia of Ar-Rahman's Guests

Selected material for Pilgrims and Um-rah teaching it in languages of the world.